საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №37, ტელ: 268-80-01; 268-79-30; oc@olympiccentre.ge

MES 7 21 0001328933

08/12/2021

საქართველოს პრეზიდენტს
**ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს**

**ქალბატონო სალომე,**

საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2021 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2021 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის,, დებულების შესრულების თაობაზე
(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრამდე ინფორმაციას )

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის,, 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ,,ცენტრი'') 2021 წლის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულ განცხადებათა რაოდენობის, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე.
. 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ რეგისტრირებულია 5 განცხადება, მათ შორის 4 მოთხოვნა იურიდიულ პირს ეკუთვნის, ხოლო 1 განცხადება შემოსულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილებზე თანდართვით.
. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 5 განცხადებიდან დაკმაყოფილდა - 5.
. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არცერთი მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.
. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა და გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ცენტრში ყოველკვარტალურად მუშავდება ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ცენტრში დასაქმებულ პირთა შესახებ. პერსონალურ მონაცემთა სხვისთვის გადაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

. ცენტრის პერსონალთა მიერ ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'', საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია.

. ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ ,, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართის მე-2 ნაწილის 2.4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ცენტრის 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.olympiccentre.ge სა ჯარო ინფორმაციის გვერდზე ქვეგანყოფილებაში ,,ზოგადი ინფორმაცია,,.

. ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი არის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი გვანცა ტომარაძე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / სსიპ საქართველოს
ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული
ცენტრი / დირექტორი
ფირცხელიანი ბორია